სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#13 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “ნ” ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 184-ე მუხლის 1 პუნქტის ”ნ” ქვეპუნქტის შესაბამისად

გადაწყდა:

1. მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი საერთო კრება **2023 წლის 9 ოქტომბერს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;
2. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   - *სენბისა და კომპანია ნორდ პულის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება;*

3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2023 წლის 5 ოქტომბერი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - ნორდ პულის განახლებული პირობები - ფასის წერილი.
6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

გადაწყვეტილება მიღებულია 6.10.2023

ირაკლი გალდავა

გენერალური დირექტორი (მ.შ.)

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
წლიური საერთო კრების ოქმი #13/2023 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგურავის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “ნ” ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 184-ე მუხლის 1 პუნქტის ”ნ” ქვეპუნქტის შესაბამისად

გენერალური დირექტორი (მ.შ.) საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, გამომდინარე კანონის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან.

დღის წესრიგი:

1. *სენბისა და კომპანია ნორდ პულის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება;*

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

1. **სენბისა და კომპანია ნორდ პულის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება;**

2020 წლის 16 აპრილს, საქართველოს მთავრობის #246 დადგენილებაში ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე, განხორციელდა ბოლო ცვლილება 2023 წლის 29 ივნისს (საქართველოს მთავრობის დადგენილება # 239), რომლის მიხედვითაც შეიცვალა ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერირებაში გაშვების თარიღები. აღნიშნულ ვადების მიხედვით უნდა დაკორექტირდეს სენბისა და ნორდ პულს შორის არსებული თანამშრომლობის შეთანხმება.